ხელშეკრულება №6-41
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. თბილისი 08 აგვისტო 2012 წელი

ერთის მხრივ სსიპ ქალაქ თბილისის №74 საჯარო სკოლა, საიდენტიფიკაციო კოდი 206105150, მდებარე: ქ.თბილისი, კაკაბეთის ქ. №2, წარმომადგენელი მისი დირექტორის მ.შ. მარინე ჯარმელიშვილის სახით (შემდგომში„შემსყიდველი“)და მეორეს მხრივ ი/მ თინათინ თათარაშვილი საიდენტიფიკაციო კოდი 3100104776, მდებარე ქ.თბილისი, აბასთუმნის ქ. №8/19, წარმომადგენელი მისი დირექტორის თინათინ თათარაშვილის (შემდგომში „მიმწოდებელი“) სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია სამეურნეო საქონლის გამარტივებული შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1.შესყიდვის ობიექტია სამეურნეო საქონლის შეძენა:

სარეცხის ფხვნილი(300გრ. „ABC“) – 5ც * 1ლ20თ = 6ლ00თ (CPV კოდი -39831000)

ფხვნილი „რაქშა“ - 6ც * 1ლ20თ = 7ლ20თ (CPV კოდი -39831000)

ღრუბელი – 5ც * 0,30 = 1ლ50თ (CPV კოდი -39224320)

მაგიდის ტილო – 5ც * 0ლ80თ = 4ლ00თ (CPV კოდი -39525800)

მინის საწმენდი ტილო – 4ც * 3ლ50თ = 14ლ00თ (CPV კოდი -39525800)

ნათურა 100v – 20ც * 0ლ50თ = 10ლ00თ (CPV კოდი -31519100)

პოლიეთილენის პარკი – 5ც * 0ლ20თ = 1ლ00თ

3. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში

3.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს 43,70 ლარს.

3.3. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება კანონმდებლობით დადგენილი ყველა თანმდევი ხარჯების გათვალისწინებით ორმოცდასამ ლარს 70 თეთრს.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტიები

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან ათი კალენდარული დღის განმავლობაში.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ.თბილისი, კაკაბეთის ქუჩა №2

5.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის(საგადასახად ანგარიშფაქტურა, სასაქონლო ზედნადები, მიღება-ჩაბარების აქტი).

6.შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება საგადასახადო ანგარიშფაქტურით,ან სასაქონლო ზედნადებით და მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერებით.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მომწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში

7.2.შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს ათი საბანკო დღის ვადაში.

7.4. ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი

8. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

– შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

– მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

–მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

– მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების ხელმოწერიდან არა უგვიანეს ათი კალენდარული დღისა.

– დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5%–ის ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

10.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვროს ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2012 წლის „ 1 “ „სექტემბრამდე“

11. მხარეთა იურდიული მისამართები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
საჯარო სამართლის იურიდიული პირი	ი/მ თინათინ თათარაშვილი
ქალაქ თბილისის №74 საჯარო სკოლა	
მისამართი:	მისამართი:
თბილისი	თბილისი
კაკაბეთის ქუჩა №2	აბასთუმნის ქუჩა №8/19
საკონტ. ტელ: 277–64–78;	საკონტ. ტელ: (+995 322) 235-44-96,
საიდენტ.კოდი: 206 105 150	საიდენტ. კოდი: 3100104776
სს „ საქართველოს ბანკი“ს ცენტ.ფილ.	სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22	ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგსწ.ანგარიში GE87BG0000000340124700	ანგსწ.ანგარიში GE45BG0000000835655000
დირექტორი: _____	დირექტორი: _____